საქართველო

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 97 დამატების № 18

კვირა, 1 მაისი, 1916 წ.

თამარ მეფე

ქანდაკება მ. ჭიაურელისა.

თამარ-მეფე—ნახატი გ. გაბაშვილისა (ესკიზი).

თამარ-მეფე—ნახატი ხალილ ბეგ მუსაე,ისა (მაჰმადიანისა).

თამარ-მეფე—ნახატი ალ. ცომაკურიძისა.

***

ვარსკვლავად გვინათს სახე ნათელი,
თვალნი სიამის გამომაცენნი,
სარო-ტანადი, ნაზად მრხეველი,
თითნი ნარნარად ბროლის ნათალნი!

—

ვითარცა ღმერთა მშვენიერებ,ს
ქველმოქმედების, სახიერების,
ვით ტრედი მადლის მშვიდი და წყნარი,
ეგრედ მშვენებით მოვალს თამარი!

—

სხივ ცისკროვანი მისი გვირგვინი
უპყრავს დიდებას და სათნოებას;
წინაშე მისსა ძლევა და მუზნი
განადიდებენ მისსა მეფობას!

—

მის დროშას მოსდევს დიდი ორბელი
შოთა უკვდავი, ბრძენი ჭყონდიდი;
მხედართ მთავარი დიდი მხარგრძელი
და გამრეკელი, ლომებრ გულადი.

გრ. ორბელიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვნახე რომ ქვეყნად ჩამოსულიყო **ნინო, ქეთევან** და თვით **თამარი**".
ნახატი სიდამონ-ერისთავისა.

იოსებ დავითაშვილის ლექსი

საქართველოს დედოფალი
დედა ქართვლისა თამარი
სიმშვენიერით მოსილი,
ამომავალი მზის დარი.
დავით სოსლანის მეუღლე,
რომელს უმშვენა მან მხარი
დიდუბეში იქორწილა,
სადაც რომ საყდარი არი.
ნადიმობა გაუმართა,
მოიწვია თავის ჯარი;
ასი სული ცხვარი დაკლა,
და ორასი ნიშა ხარი,
ლურჯი სუფრა გაუშალა
თითქმის იყო ასი მხარი.
ქვრივ-ობლებსა უწყალობა:
ოქრო, ვერცხლი დიდი ძალი.
სიბრძნით, სიუხვით ქებული
დილის ცისკარის სადარი,
ის მნათობი ქვეყნიერი,
მკვდარიც ვერ ვპოვეთ, სად არი?

—

მაჰმადიან ქართველის გამოთქმული ლექსი.

ათასი კაბა ყმა მყვანდა,
ყველანი ოქროს ღილითა;
ვაჭმევდი დედალ ხოხობსა,
ვასომდი ბროლის ჭიქითა.
ვინც რომ შემება, შევები
ალალითა და ჯიქითა.
აწი თქვენ იცით მეფენო,
ვინც დარჩით ამას იქითა.

უსეინ ბეგ ბეჟან-ოღლი.

*
* *

სამხიარულო, სალხინო ხმებით
სამოთხით იყო რუსთველის ქნარი,
და ჩემი მხოლოდ სამარის კარზე
ჟღერს... ის ჟღერაა მოთქმა დ ზარი!..
და თუ ხანდახან, ათასში ერთხელ
სამხიარულოც წამცდება რამე,
ეს ქირისუფლის ღიმილი არის,
მხოლოდ წამითი...მოკლე სიამე!

მეცა ყოველ წამს თამარი სათნო
თვალწინ მეხატვის გაბრწყინვებული,
იმის გამო მაქვს სულის კვეთება
და მისთვის მიძგერს სიწმინდით გული.
ის არის ჩემი სახე წმინდათა,
ჩემი სულის დგმა, ჩემი გულის თქმა,
ჩემი არსების გამასპეტაკი,
წმინდა მირონი და აიაზმა.

აკაკი.

*
* *

თამარ მეფევ, თამარ მეფევ!
კვლავ ვყვავდებით არ ვშავდღეობთ,
შეუბღალავ ნამუსისთვის
მედგრად ვიბრძვით, მედგრად ვხნეობთ,
რა მოგვლლის და რა მოგვქანცავს,
სიყვარულით როცა ვძლეობთ,
როცა თამარი და შოთა
ჩვენთვის ნათობთ, ჩვენთვის მზეობთ.
უნებურად თვალ დათხრილი
და ან კიდევ მატყუარა
შენს სახელს და შენს დიდებას
ვერ ახსენებს წარა-მარა;
როცა სხვამაც დაგათვასა
და დიდ მნათობს შეგადარა
მოწიწებით, მოკრძალებით
შენს წინ ქედი მოიხარა.
შენ არას დროს არ გცოდნია
სიძულვილი და გარჩევა,
ხმალს რომ წელით ამშვენებდი
არ გიყვარდა სისხლის ნთხევა
არას დროს არ გიკადრია
ხალხის ტანჯვა და დარბევა
შენს ბაგე პირს ამშვენებდა
სიბრალულის გადმოფრქვევა.
ვაშა, თამარ დედოფალო,
ვაშა, ვაშა, თამარ მეფე!
შენი სული, შენი გული
ყველა ქალებს გადმოფჩქეფე:
მტერი კი არ შეიძულონ,
უფრო მეტად შეიყვარონ
და ერთობის სიყვარულით
სიხარულის ცრემლი ღვარონ.
შენის დროის ღარიბების
და ობლების დიდო მზეო,
სათნოების, სიყვარულის
გადმომჩქეფო, გადმომფრქვევო
დღეის ობოლ-ღარიბებიც
შეგამკობენ ტკბილის სმენით;
შენს დიდებას თაყვანსა ვცემ
და მუხლს ვიდრეკ მოწიწებით.

შიო მღვიმელი

ხარკი—ნახატი სიდამონ-ერისთავისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარის მედროშენი. ნახ. ვ. ს.-ერისთავისა.

თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუპეს ლაშქარი:
კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით, ფშავ-ხევსურთ ჰშვენის აჩჯარი,
მკლავით ძლიერი ქართველი, ვით ციხე ბურჯი, მაგარი,
ოსი ფეხ-მარდი, მთიული ბრძოლაში შეუპოვარი!

—

მესხი სწავლითა ქებული, გმირი იმერი ზრდილობით,
და მშვილდოსნობით აფხაზი, გურულ-სვან-მეგრი მკვირცხლობით!
თამარი ჰლოცავს ჯვარითა, ჯარს ამხნევს გულის უხვებით;
გული მეფისა ზღვა არის, უ'აზღვროება წყალობით.

გრ. ორბელიანი.

შოთას დაგრუნეგა საქართველოში

უკვე ჭაბუკი ზღვას მოაპობს და ნავით უმზერს
შორს ცას სამშობლოს და სპეტაკსა იალბუზის წვერს!
უმზერს და თვალთა მათ მშვენებას ვეღარ აშორებს,
სამშობლოს მიწას უამბოროს გული აშურებს.
გადმოხტა, მიწას უამბორა და თაყვანი სცა,
და მას ეზმანა, რომ მიწამან მის გულს ხმა მისცა!

—

წავიდა, მიდის, აჰყვა მასვე დიდსა მდინარეს,
უმზერს მთა-ბარსა, თვის საყვარელს სამშობლო მხარეს,
ნახა: აქ კლდენი, ფრიალონი გზად იჭრებიან,
ძველნი ტაძარნი დანგრეულნი კვალად დგებიან;
იქ გზას უჭრიან ღრე-კლდეებში, მთებით ბარს, რუთა;
აქა აგებენ მაღალ კოშკებს, მაგარ სადგურთა.
იქა—ტაძართა, დიდ პალატთა და მაგარ ციხებს,
იქ მდინარეში სდგმენ დიდ კედელთ და სდებენ ხიდებს,
ესმის ყოვლის მხრით მაღალი ხმა წერაქვ-ბარისა,
ჭექა ნაღმისა და საამო ხმა სიმღერისა.
ნახა: სამშობლო ცხოვრებისთვის ახლად დგებოდა,
ახლის ცხოვრებით და დიდებით იმოსებოდა.
დიდების სხივით შემოსილი ნახა თამარი,
იმისი სახე მშვენიერი და მოღიმარი,
მისი სიტურფე და სინაზე, მისთ თვალთ ნათელი,
ივერის მთა-ბართ და ერისა მანათობელი!
მაშინ აღმოხდნენ იგი ლექსნი მის მადლით სულით,
ლექსნი დამწველნი, ლექსნი ტკბილნი, სავსენი სიბრძნით,
მოკამკამენი წყაროს წყალნი, ცით ნაპერწკალნი,
ალმას-ზურმუხტნი, მარგალიტნი, უფასო თვალნი.

—

მეფე-მშვენება ზის თვის ტახტზედ ფიქრით მოცული,
თლილსა თითებში მას უპყრია დიდი რვეული,
ბროლის მკერდ ქვეშა წრფელი გული ძლიერად უძგერს!
დიდებულთ კრება ტრფიალებით თვის მეფეს უმზერს.
ჰკვირობს მის სიბრძნეს, მის სიტურფეს და მის მშვენებას,
ელის მის ნაზს ხმას, მის ნაზ ღიმილს და მშვიდს ბრძანებას...
ბრძანა: „მსურს ვნახო, ვინც წარმოსთქვა ესე ლექსები,
ტურფად წყობილნი, მარგალიტი საგოგმანები".
მოჰგვარეს იგი: არს ჭაბუკი და მშვენიერი,
ნათელს თვალებში მას უბრწყინავს მადლი ციური:
გონების სიბრძნე, სულს სიმშვიდე და გულწრფელობა,
ძმობის, ერთობის, სიყვარულის მაღალი გრძნობა!

მეფემ შვენებამ გადაავლო თვალი ნათელი,
არ გამოჰკითხა მას არც გვარი, არცა სახელი;
უბრძანა მხოლოდ: „ეს ლექსნი გულს ვით ჩაგინერგდნენ,
გულთა დამწველნი ვით აღმოგხდნენ, ვით დაიწერნენ?"
—დიდო მეფეო! მაგ რვეულში რაც დაიწერა,
შენმა ნათელმა, მშვენიერმა სახემ შთამბერა!—

ნათელი მეფე მას უმზერდა ტკბილის ღიმილით,
უთხრა: „ეს ლექსნი შთაბერილნი გაქვს შენ ცით მაღლით:
იყავ დიდებულ და დიდებულთ იყავ ძშვენება,
ჩემის სამეფოს გვირგვინისა შენ ხარ დიდება!"

ვინ იყო იგი და რა იყო მისი სახელი?
ის იყო შოთა, დიდი შოთა რუისთაველი!

ვახტანგ ორბელიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თამარ მეფე პასუხის მოლოდინში.

ნახატი მოსე თოიძისა.

* *
*

ვის ჰშვენის ლომსა ხმარება
შუბისა, ფარ შიმშერისა,
მეფისა მზის თამარისა,
ღაწვ-ბადახშ-თმა-გიშერისა,—
მას, არა ვიცი, შევკადრო
შესხმა ხოტბისა ხშირისა!
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა
მირთმა ჰხამს, მართ მშიერისა!*)

—

თამარს ვაქებდეთ, მეფესა,
სისხლისა ცრემლ-დანთხეული,
ვსთქვენი ქებანი ვისნი მე,
არ ავად გამორჩეული,**)
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა
და კალმად მინა რხეული;
ვინცა ისმინოს, დაესვას
ლახვარი გულსა ხეული.

შოთა რუსთაველი.

---

*) მის მაცქერალთ მხოლოდ ყანდის (შაქრის) ჭამა დასჭირდებათ მშივრებიც რომ იყვნენო.



ვ ა რ ძ ი ა.

თამარ მეფის სახე გეთანიის ეკლესიაში)

შენს წმინდა სახეს,
მშვენებით სავსეს,
სახიერებით განსხივებულსა,
ვუმზერ კრძალვითა,
თაყვან ცემითა,
ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა!

მიხარის — გიმზერ!
ვსწუხვარ და გიმზერ
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოვფხიზლდე,
რომ აღარ ვგრძნობდე
ჩემის სამშობლოს სულით დაცემას!..

ყვავილოვანი
წალკოტი შენი,
შენის დიდების სხივ მოკლებული,
აღარა ჰშვენის,
აღარ გვიბრწყინვის
შავ დროთა*) ძალით ფერ წახდენილი!

და ვით განვლილსა,
სიზმარსა ტკბილსა,
მზეს დიდებულად ჩასვენებულსა,
ვიგონებთ შენს დროს,
გული გვიმაგროს,
სრულად არ წავსწყდეთ ცის შემრის-
ხავნი!..

—

ხნით დამაშვრალი,
დაღონებული,
შენადვე მეფევ, მოველ ვედრებით:
მოხედო ბედ-კრულს
შენს სატრფო მამულს,
და ჯვარით შენით აკურთხო კვალად.

—

შენი ივერი
აღსდგეს ძლიერი,
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის,
წმინდით საყდარით,
ენით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათებული!

—

ზნე ამაღლებით
ძლევის დიდებით
სამშობლოს მიწის სიყვარულითა!—
და გავგვიცოცხლდეს
რომ კვლავც მოგვესმეს,
სიტყვა ქართული რუსთაველისა.

—

რომ განვიღვიძნეთ,
სულით განვახლდეთ
და განქრეს ბნელი უმეცრებისა!..
...მაგრამ ცად თვალნი
გვაქვს მიქცეულნი
და მე ვეღარ მცნობ გულშემუსვრილსა,

—

დამცირებულსა
ხმა მიღებულსა
ბედ დაკარგულის ივერიის ძეს!
ეჭვით აღვსილსა
უსახოდ ქმნილსა,
გულ უიმედოს, გაუხარებელს!

—

ვაჰ თურაც წახდეს
ვეღარა აღდგეს,
ვეღარ აღყვავდეს ახლის მშვენები?
და რაც დაეცა
ის წარიტაცა
შავამა ყორანმა ვით უმწე მსხვერპლი!

—

...ჰე ცრუ სოფელო,
დაუნდობელო
შენში კეთილი სად არს ფერ უცვლელ?..
დიდება ჩვენი
ცად სხივ მომფენი
ნუ თუ ესღა გვაქვს, ვხედავ რასაცა?
დაყრუებულსა,
გზა შეუვალსა
უდაბურ ტყეში ტაძარს დარღვეულს?
სად სახე მეფის,
დიდის თამარის,
სჩანს ძველს კედელზე გამოხატულად!

გრიგოლ ორბელიანი.

გ ე თ ა ნ ი ა.

ხალხური

თამარ მეფისა დროშია
შორს გავიძუე ძროხანი,
დავწექ და ბევრი ვიძინე,
ზედ წავიხურე ჩოხანი.

--

თამარ მეფე და ხონთქარი
მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა,
ზღვაში ჩაუშვა ხომალდი
ზედ ალმასები დაჰკიდა.
ზედ დასხა ქართველთ ლაშქარი
მრავალ წყალობას დაჰპირდა.

*) შემოსვლა ლენგ-თემურისა და შაჰ-აბაზისა, რომელთა საშინლად გაოხრეს ჩვენი ქვეყანა, ქართველთა დაარქვეს შავი დრო ამათ შემოსვლასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ მეფე

დავით აღმაშენებელი

წმიდა ნინო ნახ. ვ. ს. ერისთავისა.

ხალხური ლეგენდები

ჩაწერილი ზ. ჭიჭინაძის მიერ.

საქართველოს კუთხეებში, თითქმის ყველა მხრის ქართველი ამბობს, რომ თამარ მეფე ძლიერი მეფე იყოვო. მან სპარსეთის ზოგიერთ მთავრებს ხარჯი დაადვაო. ასევე დიდი გავლენა ჰქონდა სტამბოლზეო. ამ ძლიერების საქებრათ ძველათვე გამოთქვეს შემდეგი ლექსიო.

„ურბნის ავაგე საყდარი,
უწყლოსა წყალი ვადინე,
ისპაანს დავსდევ ბეგარა,
სტამბოლს ხარაჯა ავიღე,
თეთრ ზღვაში რკინა ჩავაგდე,
ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე:
ამდენი საქმის მომქმედმან
ცხრა ადღი ტილო წავიღე“.

რკინათ იგულისხმება, ხომალდის ღუზა. ქართველთა გარეშე თამარ მეფის ძლიერების შესახებ ლეკებშიაც ძრიელ ბევრი ცნობებია დაშთენილი.

—

თამარ მეფეს ოსმალებთან ომი ჰქონდა, ომში ქართველებმა გაიმარჯვეს და სულთანი ტყვედ ჩაუვარდათ, პყრობილი თამარ მეფეს მიჰგვარეს, როცა სულთანი თამარ ნეფის წინაშე წარსდგა და სახეზედ შეხედა, უცბად შეკრთა, უკან დაიწია და ყვირილი დაიწყო:

— მიშველეთ, მიშველეთ.

იქ მყოფთ საჩქაროდ ჰკითხეს:

— რა იყო, რა დაგემართა, რის შეგეშინდაო?

— მე იმის შემეშინდა, რომ თამარ მეფის გვირგვინს გარს ერთი ხლმით ამოღებული კაცი უვლის და იმ გალესილ ხმალს სულ აქეთ-იქეთ ატრიალებს მტრის წინააღმდეგო.



ქეთევან წამებული

მარიამ დედოფალი

შუშანიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ ო თ ა

ნახატი ძმ. ჯაფარიძეებისა.

ხელში ჩაუდეს ასიგნაცია:
შაბიამანი ვორდეღ გნაცია!
რას მომსევია ეს გოჟ ვრაცია,
ხუნდაძეს ჰკითხეთ, თქვენი კაცია!



სოციალიზმის კბილი

ცხრაას ხუთში ჩაიკირა კბილი,
ცხრაას თექვსმეტს დაუსივდა ღრძილი.
ექიმისთვის დაუღია ხახა,
ეხვეწება: ამომგლიჯე გლახა!